

**განსხვავებული საზომების გავლენა რელიგიას და წინარწმენას  
შორის კავშირზე**

**ოლა ჯაკობია**

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, PHD.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების, ისეთ მოსაზრებებს და მასალებს, რომლებიც არ არის მოხსენიებული და სათანადო წესების შესაბამისად ციტირებული.

ოლღა ჯაკობია

## აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო, ურთიერთმიმართების გარკვევა წინარწმენას და რელიგიურობას შორის. თვითონ, წინარწმენას, რამდენიმე ათეული წელიწადია იკვლევენ მეცნიერები, რამაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰოლოკოსტის შემდგომ შეიძინა. რელიგიური ადამიანთა რიცხვი, ჩვენს თანამედროვეობაში, დიდია მსოფლიო მასშტაბით და არც რელიგიას დაუკარგავს მნიშვნელობა ყოველდღიურობაში.

წინარწმენის და რელიგიურობის თავდაპირველი კვლევები, მოიცავდა რელიგიურობის ორ განზომილებას, გარეგან და შინაგანს და ექსპლიციტურ წინარწმენას. გარადა ამისა, კვლევების უმეტესობა, კორელაციულ ხასიათს ატარებდა. მკვლევრებმა წლების განმავლობაში, დახვეწეს წინარწმენის და რელიგიურობის ურთიერთკავშირის შესწავლა, სხვადასხვა საშუალებებით. მაგალითად, საზომების დახვეწა მოხდა, წინარწმენას შეისწავლიან ექსპლიციტურად და იმპლიციტურად, ხოლო რელიგიურობას სხვადასხვა განზომილებებად. ასევე, სხვადასხვა ცვლადების შესწავლით, მათ შრისაა მემარჯვენე ავტორიტარიზმი, სოციალური დომინანტობა.

მიუხედავად, ამისა, კვლავ, წინამდებარე შედეგები ფიქსირდება წინარწმენასა და რელიგიურობის კავშირს შორის. წინამდებარე კვლევაში, წინარწმენის(ექსპლიციტური) და რელიგიურობის (პრაქტიკის, შედეგის, რწმენის, პარტიკულარიზმის და გამოცდილების განზომილებები) მიმართებაა შესწავლილი. როგორც მოსალოდნელი იყო, დაფიქსირდა სხვადასხვა სიძლიერის კავშირი რელიგიურობის სხვადასხვა განზომილებებსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის. წინარწმენასა და რელიგიურობას შორის არ გამოვლინდა

კავშირი რელიგიური უმცირესობების, როგორც გარე ჯგუფი, შემთხვევაში.  
ხოლო ჰომოსექსუალების მიმართ წინარწმენას და რელიგიურობას შორის  
კავშირს, რაც შეეხება, მხოლოდ რელიგიურობის პრაქტიკის განზომილება  
კორელილებს წინარწმენასთან.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** წინარწმენა, რელიგიურობა, პარტიკულარიზმი,  
რწმენა, სოციალური დომინანტობა

## Abstract

Since decades, scientists have tried to answer the question about what makes and unmakes prejudice without any consistent results. In the studies conducted at an early stage, on the relation between prejudice and religiosity, most of the research results were correlative. Since then, numerous actions have been taken to pursue the studies and address the challenges which researchers have been facing. Empiric measures of explicit and implicit prejudice improved while religiosity became more multidimensional adding following dimensions: particularism, doctrinal spirituality amongst others. Other variable such as RWA and SDO also started to be considered, although results continued to be contradictory. This paper will analyze following dimensions of explicit prejudice and religiosity: practice, belief, result, particularism and spirituality or spiritual experience. Previous research showed that different dimensions of religiosity correlate differently with different ethnic minorities. Applying the same approach, no evidence was found between prejudice towards religious minorities and prejudice, while religious dimensions of practice is in positive correlation with the prejudice towards homosexuals.

**Keywords:** prejudice, religiosity, particularism, believe, SOD